

ერთი მხრივ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერი) ლაშა აბაშიძის სახით და მეორე მხრივ, შპს „Construction Service“ (შემდგომში – მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი გაბუნიას სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვთანხმდებით შემდეგზე:

**1. შეთანხმების საგანი**

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „Construction Service“-ს შორის, 2017 წლის 2 აგვისტოს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N02.01/10/417 ხელშეკრულებით (ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის ხეივანში, ჰიპერმარკეტ „თბილისი მოლი“-ს მიმდებარედ ქვეითა მიწისზედა რკინის კონსტრუქციის საფეხმავლო გადასასვლელის მოწყობის სამუშაოები) გათვალისწინებული სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში, ქვაბულის ამოღების შემდეგ, აღმოჩნდა, რომ პირველ ბურჯზე პროექტის მიხედვით არასწორად იყო მითითებული ნიშნულები, რის გამოც, წარმოიშვა გარკვეული კორექტირების შეტანის აუცილებლობა. კერძოდ: მე-3 ბურჯის სვეტებს სიგრძეში დაემატა 1610 მმ, ხოლო მე-4 ბურჯის სვეტებს-1660 მმ. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიცალა ლიფტის პლატფორმის აწევის სიმაღლე, რაც თავის მხრივ საჭიროებს მომწოდებლის მხრიდან მის შესაბამის გადაკეთებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმწოდებელმა შემსყიდველს მომართა სამუშაოების მიწოდების ვადის გადაწევის მოთხოვნით (წერილი N10/0117243914-14; 31/08/2017), რის საფუძველზეც, ხელშეკრულების მონაწილე მხარეები - შემსყიდველი და მიმწოდებელი - ვთანხმდებით:

1.1 შეტანილ იქნას ცვლილება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში, გაიზარდოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების ვადა და ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3.1 სამუშაოების მიწოდების ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 5 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდი.“.

2. მიმწოდებელი ვალდებულია შეთანხმების გაფორმებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურში წარადგინოს და სამსახურთან შეთანხმოს სამუშაოთა წარმოების კორექტირებული კალენდარული გეგმა-გრაფიკი.

3. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს წარმოდგენილი ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფისა და წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) საბანკო გარანტიებს მოქმედების ვადის გაგრძელება 2017 წლის 4 დეკემბრის ჩათვლით. ამასთან, ვადაგაზრდილი საბანკო გარანტიები წარმოდგენილი უნდა იქნას 2017 წლის 2 ოქტომბრის ჩათვლით. საბანკო გარანტიების მიმდინარე წლის 2 ოქტომბრის ჩათვლით წარმოუდგენლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვროს 2019 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.

საფუძველი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის 2017 წლის 18 სექტემბრის N14-01172612819 წერილი.

**2. შეთანხმების მოქმედების ვადა**

- 2.1 წინამდებარე შეთანხმება მოქმედებს მასზე ხელის მოწერის დღიდან.
- 2.2 შეთანხმება წარმოადგენს მხარეთა შორის 2017 წლის 2 აგვისტოს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N02.01/10/417 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.
- 2.3 ხელშეკრულების ყველა სხვა პირობა რჩება უცვლელი.

**3. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები**

შემსყიდველი:  
 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია  
 ს/კოდი: 204521794  
 მერის პირველი მოადგილე (ვიცე-მერი)  
 დ. აბაშიძე



მიმწოდებელი:  
 შპს „Construction Service“  
 ს/კოდი: 404935647  
 დირექტორი  
 გ. გაბუნია

